



# საქართველო

## ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე



(ქ. ოზურგეთი კოსტავას ქ. №1, ტელ. 27-45-25)

N 83  
18/07/2019

83-06-4-201907181136



### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

#### ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დოკუმენტების შემფასებელი მუდმივმოქმედი საექსპერტო კომისიის შექმნისა და შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტის, „საქმისწარმოების ერთიანი წესების დამტკიცებისა და ამოქმედების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისის N414-ე ბრძანებულების 55-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2007 წლის 15 ივნისის N174-ე ბრძანებით დამტკიცებული „დაწესებულებათა არქივების მუშაობის წესების“ მე-14 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად,

#### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. შეიქმნას ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დოკუმენტების შემფასებელი მუდმივმოქმედი საექსპერტო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) ნანა თავდუმაძე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი, **კომისიის თავმჯდომარე;**

ბ) გივი ყაზაიშვილი - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საოქმო მომსახურების საკითხებში, **კომისიის მდივანი;**

გ) ნათელა ლომჯარია - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი, **კომისიის წევრი;**

დ) ავთანდილ გოლიაძე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სამდივნო განყოფილების უფროსი, **კომისიის წევრი;**

ე) გერმანე ჭანუყვაძე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საინფორმაციო-ანალიტიკური და ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი, **კომისიის წევრი;**

ვ) ნინო ერქომაიშვილი - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტი დოკუმენტბრუნვისა და საქმისწარმოების საკითხებში, კომისიის წევრი.

2. დოკუმენტების შემფასებელი მუდმივმოქმედი საექსპერტო კომისიამ მუშაობა წარმართოს საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2007 წლის 15 ივნისის N 174-ე ბრძანებით დამტკიცებული „დაწესებულებათა არქივების მუშაობის წესების“ შესაბამისად.

3. დაევალოს კომისიის წევრებს, საქმიანი კავშირის დამყარება გურიის რეგიონულ არქივთან.

4. დაევალოს კომისიის წევრებს დოკუმენტების შემფასებელი ექსპერტიზის სამუშაოების ჩატარებისა და ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების გურიის რეგიონულ არქივში გადაცემის ორგანიზების მიზნით, იხელმძღვანელონ გურიის რეგიონული არქივის ნორმატიული და მეთოდური რეკომენდაციებით.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი ი. სიორიძის ქუჩა №14, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“-ს VIII თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

6. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე  
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

